



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia



საქართველოში სარჩოსას
ბანქისთვის სააბანო

2017

მიგრაციის საკითხთა
სამეთაფრობო კომისია



მოკლე ფორმატის
მიგრაციის პრეფილი
უცხოელი სტუდენტები
საქართველოში

თბილისი, საქართველო

©shutterstock.com

მადლობის ნიშნად

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის მომზადებაში მონაწილეობისა და მისი გამოქვეყნებისათვის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია მადლობას უხდის ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მართულ პროექტს - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA). პროფილში გამოყენებული მონაცემები დიდწილად ეყრდნობა კვლევას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს დაკვეთით ჩაატარა.

© მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაკვეთით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) მიერ დაქირავებული მკვლევარების მიერ. პუბლიკაცია გამოცა ევროკავშირის ხელშეწყობით. პუბლიკაციის შინაარსი არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ევროკავშირის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის და მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მოსაზრება.

დიზაინი და ბეჭდვა:
შპს GN GROUP

ტირაჟი: 200

შესავალი

2015 წელს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ (მსსკ) მიიღო საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილი¹ (MMP). პროფილი მომზადდა მსსკ-ს წევრი სახელმწიფო უწყებების აქტიური მონაწილეობით და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) მხარდაჭერით. მიგრაციის პროფილის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას ქვეყანაში. მასში განხილულია მიგრაციული პროცესების ყველა ძირითადი ასპექტი და მისი გავლენა ქვეყნის დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. მიგრაციის პროფილი წარმოადგენს მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების სანდო წყაროს, როგორც ადგილობრივი ინსტიტუტების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მკვლევრებისთვის.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების და მართვის გასაუმჯობესებლად, 2016 წლის მაისში მსსკ-მ მოამზადა და გამოაქვეყნა საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილების შემუშავების გზამკვლევი², რომელიც აღწერს მიგრაციის პროფილზე მუშაობის პროცესს, მონაცემთა წყაროებს, დოკუმენტის სტრუქტურასა და შინაარსს.

მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი (BMP) წარმოადგენს საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილის ლოგიკურ გაგრძელებას. თუმცა, მისგან განსხვავებით, ის ფოკუსირებულია მიგრაციული პროცესების მხოლოდ ერთ ასპექტზე და აღწერს მას მონაცემთა ვიზუალიზაციის საშუალებით. პირველი მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი³ ფოკუსირებულია ფულადი გზავნილების დინამიკისა და გავლენის ანალიზზე.

წინამდებარე მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი წარმოადგენს რიგით მეორე გამოცემას და ეძღვნება უცხოელი სტუდენტების გავლენის შესწავლას საქართველოს ეკონომიკაზე. მასში გაანალიზებულია საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის დინამიკა და მისი ზრდის ძირითადი გამომწვევი მიზეზები, შეფასებულია მიმდინარე ფინანსური სარგებელი და სამომავლო პერსპექტივა.

¹ 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. ნანახია: 2017 წლის 19 მარტს.
http://migration.commission.ge/files/migration_profile_geo_may.pdf

² საშუალო და მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილის შემუშავების გზამკვლევი. 2016 წ. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. ნანახია: 2017 წლის 19 მარტს.
http://migration.commission.ge/files/mp_guidelines_12.09.2016_geo.pdf


³ მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი: ფულადი გზავნილები, 2016 წ. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. ნანახია 2017 წლის 19 მარტს.
http://migration.commission.ge/files/geo_1_.pdf

უცხოელი სტუდენტების სტატისტიკა საქართველოში

იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით⁴, მსოფლიოში საერთაშორისო მობილური სტუდენტების რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის 70%-ით გაიზარდა და 2015 წლისთვის 4,5 მილიონს გადააჭარბა. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის სტაბილურ ზრდასთან ერთად, განათლების ინტერნაციონალიზაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე განათლების სისტემებში.

ბოლო წლებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოშიც. თუ 2013 წელს საქართველო 4 ათასზე ოდნავ მეტ უცხოელ სტუდენტს მასპინძლობდა, 2016 წლის მდგომარეობით ქვეყანაში 9 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს 87 სხვადასხვა ქვეყნიდან.

დიაგრამა 1. უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში




წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების 90%-ს შეადგენენ აზერბაიჯანის, ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეები. ამასთან, აზერბაიჯანის, ერაყის, ინდოეთის და ნიგერიის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო თურქეთის და რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა შედარებით სტაბილურია.

⁴ იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტი. ნანახია 2017 წლის 19 მარტს. <http://uis.unesco.org/indicator/edu-mobility-in-country>


დიაგრამა 2. უცხოელი სტუდენტების განაწილება ქვეყნების მიხედვით 2016 წელს



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ყველაზე მეტ უცხოელ სტუდენტს უკვე რამდენიმე წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მასპინძლობს. თუმცა, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც.

დიაგრამა 3. უცხოელი სტუდენტების განაწილება საქართველოს უნივერსიტეტებში 2016 წელს (%)




წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (95%) თბილისში სწავლობს, 2.2% - ქუთაისში, ხოლო 1.8% - ბათუმში.

სამედიცინო განათლება, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულია, გამორჩეულად პოპულარულია უცხოელ სტუდენტებში, რომელთა ნახევარი განათლებას მედიცინის, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკის ან სტომატოლოგიის მიმართულებით იღებს. მათი თითქმის მეოთხედი კი ბიზნესის, ეკონომიკის ან სამართლის ფაკულტეტებზე სწავლობს.


დიაგრამა 4. უცხოელი სტუდენტების განაწილება სპეციალობების მიხედვით 2016 წელს (%)



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, უკანასკნელ წლებში სტაბილურად იზრდება უცხოენოვანი საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების რაოდენობაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. რაც იმაზე მეტყველებს, რომ უნივერსიტეტები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ უცხოელ სტუდენტთა მოზიდვას და მათ მოთხოვნებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით 2012 წელს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთო რაოდენობა 88 იყო, 2014 წელს 160, ხოლო 2016 წელს 205 მიაღწია. ასევე, წლიდან წლამდე იზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაც, რომლებიც უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს ნერგავენ.

დიაგრამა 5. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს დაკვეთით და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) ფარგლებში ჩაატარა უცხოელ სტუდენტთა გამოკითხვა⁵, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელი სტუდენტების გავლენის შეფასებას საქართველოს ეკონომიკაზე. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 277 უცხოელი სტუდენტი, რომლებიც ამჟამად საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ 10 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 12 წარმომადგენელთან⁶. ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს იმ 8 უნივერსიტეტის

⁵ გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ კითხვარის საშუალებით, 2016 წლის 8 დეკემბრიდან 2017 წლის 22 იანვრამდე.

⁶ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, დავით ტვილიდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სტუდენტებმა, სადაც ამჟამად უცხოელი სტუდენტების თითქმის 60% სწავლობს (უნივერსიტეტების ჩამონათვალი იხილეთ ცხრილში 4). ის უნივერსიტეტები, კი რომელთა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთანაც სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა, უცხოელი სტუდენტების 64%-ს მასპინძლობს.

ISET-ის კვლევის თანახმად, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არსებულ რეკრუტირების სააგენტოებს იყენებს. ამ ინფორმაციას ადასტურებს უცხოელ სტუდენტთა ონლაინ გამოკითხვაც, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 30%-მა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივაზე ინფორმაცია სწორედ მსგავსი სააგენტოებიდან მიიღო. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელთა თქმით, მსგავსი სააგენტოების საკომისიო ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღეისთვის ერთ მოზიდულ სტუდენტზე 1,000 აშშ დოლარსაც კი აღწევს.

ISET-ის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში გადამწყვეტ როლს საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის, რეპუტაცია და სწავლის დაბალი საფასური ასრულებს. საქართველოში კონკრეტული უნივერსიტეტის არჩევისას კი გამოკითხული უცხოელი სტუდენტები ინგლისურენოვანი კურსების ხელმისაწვდომობას, აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობას და სწავლების საფასურს აქცევენ ყურადღებას. ცხრილები 1 და 2 აჩვენებს საშუალო ქულას სხვადასხვა ფაქტორებისთვის, რომლებიც სტუდენტებს ხუთბალიან სკალაზე უნდა შეეფასებინათ მათი მნიშვნელოვნების მიხედვით.

ცხრილი 1.

გთხოვთ მიუთითოთ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული ფაქტორი ჩამოთვლილი ფაქტორი თქვენი გადანწყვეტილებისთვის გესწავლათ საქართველოში?	
უსაფრთხოება	4.23
სწავლის საფასური	4.00
ქართული დიპლომის საერთაშორისო ცნობადობა	3.90
ცხოვრების ხარჯების დონე	3.89
ქართული საგანმანათლებლო სისტემის რეპუტაცია	3.77
სავიზო რეგულაციები	3.61
კლიმატი	3.32
ქსელი / მეგობრები	3.30


ცხრილი 2.

გთხოვთ მიუთითოთ რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი თქვენს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების შერჩევისას?	
ინგლისურენოვანი კურსების ხელმისაწვდომობა	4.10
კვალიფიციური აკადემიური პერსონალი	4.08
სწავლის საფასური	4.01
სწავლების ენა	3.94
უნივერსიტეტის ტექნოლოგიური შესაძლებლობები	3.80
კონკურენტუნარიანი პროგრამა	3.70
უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა	3.65
სოციალური გარემო	3.61
მეგობრები / ნაცნობები უნივერსიტეტში	3.29

წყარო: ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (89%) ფინანსურად დამოკიდებულია სამშობლოში დარჩენილ საკუთარ ოჯახებზე. ხოლო, მათი საშუალო წლიური დაფინანსება 7,733 აშშ დოლარს შეადგენს. ყველაზე მცირე დაფინანსება აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებს აქვთ, ხოლო ყველაზე დიდი - ერაყის.

დიაგრამა 6. უცხოელი სტუდენტების საშუალო წლიური დაფინანსება წარმოშობის ქვეყნის მიხედვით (აშშ დოლარი)



წყარო: ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

შენიშვნა: 277 რესპონდენტიდან 20-მა არ დააკონკრეტა დაფინანსების ოდენობა, ან მიუთითა არარეალური მონაცემი, რომელიც გამორიცხულ იქნა საშუალოს კალკულაციისას. დიაგრამაში შეჯამებულია დარჩენილი 257 რესპონდენტის მონაცემი.

გამოკითხული სტუდენტებისთვის დანახარჯები სწავლის საფასურზე და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე ჯამური ხარჯის 60%-ზე მეტს შეადგენს. მესამე ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ტიპის დანახარჯების საშუალო რაოდენობები. ცხრილში ასევე მითითებულია იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც აღნიშნეს, რომ კონკრეტული ტიპის ხარჯი აქვთ განეული.


ცხრილი 3.

დანახარჯის ტიპი	დანახარჯის საშუალო რაოდენობა	რესპონდენტთა რაოდენობა, რომელმაც უპასუხა კონკრეტულ კითხვას
სწავლის საფასური 2016/2017 (\$)	4,777	277
სწავლის საფასური სწავლის პირველ წელს (\$)	4,902	277
წლიური დანახარჯი წიგნებზე(£)	365	254
თვიური ბინის ქირა (\$)	232	277
სტუდენტის ვიზიტორების წლიური ხარჯი (£)	2,889	52
თვიური დანახარჯები		
კომუნალურ გადასახადებზე (£)	117	259
მობილური ტელეფონის სერვისზე (£)	25	271
სურსათზე (£)	281	271
კაფე-ბარ-რესტორნებში (£)	108	231
გართობაზე (£)	54	184
ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და აქსესუარებზე (£)	114	244
გადაადგილებისთვის (£)	102	274
შვილებზე (£)	838	5
ჯამური დანახარჯები		
ავტომობილის შესაძენად (\$)	4,440	39
საყოფაცხოვრებო ნივთებზე (£)	1,412	153
მოგზაურობა-ტურიზმზე (£)	351	180

სწავლის საფასურს ყველაზე დიდი წილი უკავია სტუდენტების დანახარჯებში. სახელმწიფო უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის წლიურ სწავლის საფასურზე დაწესებულია ზედა ზღვარი 2,250 ლარის ოდენობით. თუმცა, უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასური რამდენჯერმე აღემატება ქართველი სტუდენტებისთვის დაწესებულ გადასახადს. შედარებისთვის, ISET-ის გამოკითხვის თანახმად, საშუალო სწავლის საფასური უცხოელი სტუდენტებისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 6,222 აშშ დოლარს შეადგენს.

უნივერსიტეტში სწავლის დაწყების შემდეგ, როგორც წესი, სწავლის გადასახადი წლების განმავლობაში კონკრეტული სტუდენტისთვის მნიშვნელოვნად აღარ იცვლება. მეორე მხრივ, უმეტეს უნივერსიტეტებში წლიდან წლამდე იზრდება სწავლის საფასური სტუდენტთა ახალი ნაკადებისთვის. ISET-ის ონლაინ გამოკითხვიდან ჩანს, რომ სტუდენტები, რომელთაც შედარებით გვიან აქვთ დაწყებული სწავლა უფრო მეტს იხდიან.

დიაგრამა 7. საშუალო სწავლის საფასური კურსების მიხედვით (USD)



წყარო: ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

ISET-ის ონლაინ გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე მაღალი წლიური სწავლის გადასახადი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშია, ხოლო ყველაზე დაბალი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში.

ცხრილი 4.

უნივერსიტეტი	სწავლის საშუალო წლიური საფასური (აშშ დოლარი)
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	1,480
საქართველოს უნივერსიტეტი	3,462
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	3,518
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	3,870
ნიუ ვივენ უნივერსიტეტი	4,449
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	4,574
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	4,938
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	6,222
არაიდენტიფიცირებული	3,715
საშუალო ყველა უნივერსიტეტისთვის	4,777


წყარო: ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

ISET-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, უცხოელი სტუდენტებისთვის დაწესებული სწავლის დაბალი საფასური დამახასიათებელია იმ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის, რომლებიც აქცენტს აკეთებენ აზერბაიჯანულ სტუდენტებზე და აკადემიური პროგრამები მორგებული აქვთ მათ საჭიროებებზე, მაგალითად სასწავლო პროგრამები აქვთ რუსულ ენაზე ან სტუდენტებს სთავაზობენ ორენოვან პროგრამებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

გამოკითხული სტუდენტების 78%-მა აღნიშნა, რომ ისინი საკუთარ უნივერსიტეტს გაუწევდნენ დადებით რეკომენდაციას, რაც ძირითადად დაბალი სწავლის საფასურით და კვალიფიციური აკადემიური პერსონალით არის განპირობებული. სტუდენტებმა, რომლებმაც მიუთითეს, რომ უნივერსიტეტს არ გაუწევდნენ დადებით რეკომენდაციას, საკუთარი გადაწყვეტილება ძირითადად ახსნეს სწავლის დაბალი ხარისხით, პრაქტიკული გამოცდილების მიღების შეუძლებლობით და უკმაყოფილებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციითა და პერსონალით.

აღსანიშნავია, რომ უცხოელი სტუდენტების დიდი უმრავლესობა გეგმავს საქართველოში განათლების მიღებას და შემდეგ ქვეყნის დატოვებას, რაც მათ სამომავლო გავლენას საქართველოს შრომის ბაზარზე დიდწილად უმნიშვნელოს ხდის. უცხოელ სტუდენტთა 65% სწავლის დასრულების შემდეგ გეგმავს სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე, მათ შორის 8% - საქართველოში. 30%-ზე ნაკლები ფიქრობს სწავლის შემდეგ დასაქმებაზე, მათ შორის მხოლოდ 5% აპირებს სამუშაოს ძებნას საქართველოში.

დიაგრამა 8. გეგმები სწავლის დასრულების შემდეგ



წყარო: ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

ISET-ის კვლევის თანახმად, სტუდენტები ყველაზე მეტს, 28 მილიონ აშშ დოლარს სწავლის საფასურში და 16.7 მილიონ აშშ დოლარს საცხოვრებელი ფართის ქირაში იხდიან. საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195 მილიონ ლარს⁷ აღწევს, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ია (დანახარჯების დეტალური სტრუქტურა მოცემულია ცხრილში 5). რადგან უცხოელი სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი გეგმავს საქართველოში დარჩენას სწავლის დასრულების შემდეგ, მათი კონტრიბუცია ადგილობრივ შრომის ბაზარზე უმნიშვნელოა.

⁷ აშშ დოლარის და ლარის გაცვლითი კურსად აღებულია ის კურსი, რომელიც გამოკითხვის ჩატარების პერიოდში იყო - 2.70 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

ცხრილი 5.

დანახარჯის ტიპი	დანახარჯები (ლარი)	წილი ჯამურ დანახარჯებში
სწავლის საფასური	75,928,318	38.88%
ქირა	45,017,544	23.05%
სურსათი	23,584,199	12.08%
გადაადგილება (ტრანსპორტი)	10,114,029	5.18%
კომუნალური გადასახადები	8,769,560	4.49%
ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები	7,497,323	3.84%
კაფე-ბარ-რესტორნები	7,482,191	3.83%
გართობა	3,409,920	1.75%
წიგნები	3,381,639	1.73%
მობილური ტელეფონის სერვისი	2,439,394	1.25%
ავტომობილის შენახვა	3,500,008	1.79%
საყოფაცხოვრებო ნივთები	2,273,243	1.16%
მოგზაურობა / ტურიზმი	842,892	0.43%
შვილები	1,063,218	0.54%
ჯამური წლიური პირადი დანახარჯები	195,303,478	100.00%

წყარო: ISET-ის ონლაინ გამოკითხვა, 2016

უცხოელი სტუდენტების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე განხილულია ანა ჟვანიას კვლევაში (2016)⁸. კვლევის თანახმად, უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში წლის განმავლობაში განეული ხარჯები უხეში და მინიმალისტური გამოთვლებით დაახლოებით 40 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. გამოთვლა გაკეთებულია ორ პარამეტრზე დაყრდნობით: 1) საშუალო სწავლის საფასური და 2) საცხოვრისზე განეული საშუალო

⁸ ა. ჟვანია. PMC კვლევითი ცენტრი 2016. „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები საქართველოში“ გვ. 17. ნანახია 22.03.2017 წელს. http://www.research.pmcg-i.com/media/k2/attachments/Georgia_HE_Internationalization_Report.pdf

ხარჯი. აღსანიშნავია, რომ ISET-ის კვლევაშიც ამ ორი პარამეტრის მიხედვით გაკეთებული გამოთვლები დიდად არ განსხვავდება ამ მონაცემებისგან და როგორც ზემოთაა აღნიშნული, დაახლოებით 45 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება.

როგორც კვლევა აჩვენებს, უცხოელი სტუდენტების ინტერესი ისწავლონ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მზარდია. უცხოელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში, ასევე უნივერსიტეტების განვითარებაში. როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ამჟამად, უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე დიდწილად მოკლევადიანია და იმ პერიოდით შემოიფარგლება, რასაც სტუდენტები სწავლისთვის საქართველოში ატარებენ. მათი უმრავლესობა არაა დაინტერესებული საქართველოში დარჩენით სწავლის ან მუშაობის გარძელების მიზნით, რაც ამცირებს უცხოელ სტუდენტთა პოტენციურ გრძელვადიან ეფექტს ქვეყნის ეკონომიკაზე. მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ უცხოელი სტუდენტებისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი კიდევ უფრო გაიზრდება თუ უნივერსიტეტები გააუმჯობესებენ სწავლების ხარისხს და მომსახურებას და საშუალებას მისცემენ სტუდენტებს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში.